


# ტექნიკური დავალება

შრომის უსაფრთხოების შეუსაბამობების გაუმჯობესება: სატუმბი სადგურებსა და შახტურ ჭებში (საქართველო)

თარიღი: სექტემბერი 2025

## რეზიუმე

შრომის უსაფრთხოების შეუსაბამობების გაუმჯობესება: სატუმბი სადგურებსა და შახტურ ჭებში (საქართველო)

## სარჩევი


**1. მიზანი და წინაპირობა** .......... 2

**2. მომსახურებისა და სამუშაოების მოცულობა** .......... 2

**3. მოქმედი რეგულაციები და სტანდარტები** .......... 2

**4. ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტი სამუშაოების დროს** .......... 2

**5. ხარისხის უზრუნველყოფა / ხარისხის კონტროლი (QA/QC)** .......... 2

**6. კომპეტენცია და მასალები** .......... 3

**7. შეზღუდვები** .......... 3

**8. გარანტია** .......... 3

**9. დანართი ა — ადგილმდებარეობები** .......... 3

**10. დანართი ბ — დამსაქმებლის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია** .......... 3

**11. დანართი გ — კონტრაქტორის მიერ წარდგენილი მინიმალური მოთხოვნები** .......... 3

**12.** შრომის უსაფრთხოების ხარვეზების გამოსწორება სატუმბო სადგურებსა და შახტურ ჭებში .......... 4

- ხრამის შახტური ჭები .......... 4
- ხრამი II აწევის სატუმბო სადგური .......... 4
- ხრამის I აწევის სატუმბო სადგური (მარნეულის მიმართულება) .......... 5
- დიდი ლილო 1-ის სატუმბო სადგური .......... 5
- დიდი ლილო 2-ის სატუმბო სადგური .......... 6
- ვაზისუბანი 2-ის სატუმბო სადგური .......... 6

## 1. მიზანი და წინაპირობა

ეს ტექნიკური დავალება განსაზღვრავს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მინიმალურ ტექნიკურ მოთხოვნებს, რომელიც საჭიროა შიდა შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ აქტებში გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად (სატუმბი სადგურებსა და შახტურ ჭებში). მიზანია თითოეული ობიექტის ინსპექტირების აქტებში ყველა პუნქტის შესრულება საქართველოს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ მოქმედი კანონმდებლობისა და ტექნიკური რეგულაციების შესაბამისად.

## 2. მომსახურებისა და სამუშაოების მოცულობა

კონტრაქტორი ვალდებულია გადახედოს შემოწმების აქტებს, ჩაატაროს ადგილზე დათვალიერება, მოამზადოს საპროექტო დოკუმენტაცია, შეასრულოს სამუშაოები და მოამზადოს რეპორტი. სამუშაო პაკეტები მოიცავს: ღია ღიობების დახურვას, დამცავ ღობეებს, იატაკისა და ჭერის შეკეთებას, მინების შეცვლას, სანიტარული მოწყობის გაუმჯობესებას, ელექტრო მეურნეობის მოწესრიგებას და პერიმეტრის უსაფრთხოებას.

## 3. მოქმედი რეგულაციები და სტანდარტები

- საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ (№4283)
- მთავრობის დადგენილება №341 (2022) – მინიმალური მოთხოვნები
- დადგენილება №477 (2017) – სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოება
- დადგენილება №457 (2022) – სამუშაო ადგილებზე ნიშნები
- დადგენილება №135 (2025) – სამუშაო მოწყობილობების უსაფრთხოება
- დადგენილება №590 (2022) – ინდ. დაცვის საშუალებების გამოყენება
- თითოეული სამუშაო შესრულებული უნდა იყოს “სანიტარული ნორმებისა და წესები”-ს მიხედვით. (რუსულად სნიპ)

## 4. ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტი სამუშაოების დროს

კონტრაქტორი ვალდებულია უზრუნველყოს ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა და შესრულება. როგორიცაა ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობის შესაბამისობები, ნიშნებისა და ბარიერების განთავსება სამუშაო ადგილას და სხვა. ასევე საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს სამუშაო ნებართვები.

## 5. ხარისხის უზრუნველყოფა / ხარისხის კონტროლი (QA/QC)

წარმოდგენილი უნდა იქნას ინსპექტირების გეგმა, მწარმოებლის სერტიფიკატები, მასალების მონაცემთა ფურცლები და უნდა შემოწმდეს ყველა დამონტაჟებული სისტემის გამართული ფუნქციონირება.

## 6. კომპეტენცია და მასალები

ზედამხედველი ინჟინრები და ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და სოციალური დაცვის სპეციალისტები უნდა ფლობდნენ საქართველოს რეგულაციებს. ყველა მასალა უნდა იყოს ახალი, და შეესაბამებოდეს ობიექტის პირობებს.

## 7. შეზღუდვები

- სატუმბი სადგურების მუშაობის შენარჩუნება
- გათიშვის კოორდინაცია (საჭიროების შემთხვევაში)
- აღჭურვილობის დაცვა
- სამუშაოს შესრულების დროს შემთხვევითი დაზიანებების აღდგენა (არსებობის შემთხვევაში)

## 8. გარანტია

დეფექტების პასუხისმგებლობა: დასრულებიდან 12 თვე თითოეულ ობიექტზე.

## 9. დანართი ა — ადგილმდებარეობები

- ხრამის შახტური ჭები – შახტურ ჭებში ღია ადგილების დაფარვა,
- ხრამის II აწევის სატუმბი სადგური –შრომის უსაფრთხოების ხარვეზების გამოსწორება,
- მარნეულის სატუმბი სადგური – შრომის უსაფრთხოების ხარვეზების გამოსწორება,
- დიდი ლილო 1-ის სატუმბი სადგური – შრომის უსაფრთხოების ხარვეზების გამოსწორება,
- დიდი ლილო 2-ის სატუმბი სადგური– შრომის უსაფრთხოების ხარვეზების გამოსწორება,
- ვაზისუბანი 2-ის სატუმბი სადგური– შრომის უსაფრთხოების ხარვეზების გამოსწორება,

## 10. დანართი ბ — დამსაქმებლის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია

- ოფიციალური შრომის უსაფრთხოებისა და უსაფრთხოების ინსპექტირების აქტები

- ხელმისაწვდომი ნახაზები, საკადასტრო გეგმები და ადგილმდებარეობის რუკები

- სამუშაოს შესრულების გეგმა გრაფიკი.

## 11. დანართი გ — კონტრაქტორის მიერ წარდგენილი მინიმალური მოთხოვნები

- სამუშაოების შესრულების გეგმა

- დიზაინი (საჭიროების შემთხვევაში)

- მასალებისა და აღჭურვილობის მონაცემთა ჩამონათვალი

- ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დოკუმენტაცია

- სამუშაოების შესრულების ჩანაწერები (ფორმა 2)

- მიღება-ჩაბარების აქტი შესრულებულ სამუშაოებზე.

## **12.** შრომის უსაფრთხოების ხარვეზების გამოსწორება სატუმბო სადგურებსა და შახტურ ჭებში

### *ხრამის შახტური ჭები*

- შახტურ ჭებზე უნდა დაიხუროს ყველა არსებული ღიობები გამძლე და უსაფრთხო მასალების გამოყენებით. აუცილებელია, რომ დახურული ღიობების გახსნა შესაძლებელი იყოს მომავალში ჩასატარებელი სამუშაოებისათვის.

**ფოტოები:** ხრამის შახტური ჭები

### *ხრამი II აწევის სატუმბო სადგური*

- სამუშაო სივრცის იატაკი არ უნდა იყოს სრიალა, სახიფათო უსწორმასწორო ზედაპირის, ამასთანავე, უნდა იყოს მყარი, ნახვრეტების, დაქანებისა და ამობურცვების გარეშე. (საქართველოს მთავრობის დადგენილება №341 2022 წლის 1 ივლისი. მუხლი 5. პ.2. ), ღიობები (ჭები, შურფები, კიბის უჯრედები, ნებისმიერი ადგილი სადაც შესაძლოა ადამიანის ვარდნა) დაფარული უნდა იყოს სპეციალური ხუფებით ან/და ფენილებით. დადგენილება #477 2017 ქლის 27 ოქტომბერი, მუხლი 15.
- აღადგინეთ დაზიანებული მინები,
- დამცავი მოაჯირი/მოაჯირები/სახელურები უნდა დამონტაჟდეს ყველგან, სადაც არსებობს სიმაღლიდან ვარდნის პოტენციური საფრთხე; (საქართველოს მთავრობის დადგენილება №477 2017 წლის 27 ოქტომბერი მუხლი 5. პ.ა) პანდუსები, რომელთა სიმაღლეც აღემატება 1 მეტრს, აღჭურვილი უნდა იყოს დამცავი მოაჯირით. მთავრობის დადგენილება №477 2017 წლის 27 ოქტომბერი, მუხლი 10. პ. 4.
- ელექტრომოწყობილობები და გაყვანილობები დაპროექტებული და დამონტაჟებული უნდა იყოს შესაბამისი მარეგულირებელი ნორმების დაცვით ისე, რომ სამუშაო სივრცე სათანადოდ იყოს დაცული ხანძრისა და აფეთქების საფრთხეებისგან. (საქართველოს მთავრობის დადგენილება №341 2022 წლის 1 ივლისი. მუხლი 3. პ.1.
- სამუშაო ადგილთან, მოსასვენებელ და გამოსაცვლელ ოთახებთან, საშხაპეებთან, ხელსაბანებთან განთავსებული უნდა იყოს საჭირო რაოდენობის საპირფარეშოები. საპირფარეშოები აღჭურვილი უნდა იყოს გამწოვით ან სავენტილაციო სისტემითა და ხელსაბანებით. (საქართველოს მთავრობის დადგენილება №341 2022 წლის 1 ივლისი. მუხლი 18. პ.1; პ.4. ტუალეტი უნდა იყოს მოწყობილი სანიტარული ნორმების დაცვით. ტუალეტებს უნდა ჰქონდეს ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემა, როგორიცაა სეპტიკური ავზი ან მსგავსი. ჩამდინარე წყლები უნდა დაგროვდეს ადგილზე და პერიოდულად მოიხსნას.

**ინსპექტირების აქტი:** ხრამი II აწევის სატუმბო სადგური

*ხრამის I აწევის სატუმბო სადგური (მარნეულის მიმართულება)*

- სამუშაო სივრცის იატაკი არ უნდა იყოს სრიალა, სახიფათო უსწორმასწორო ზედაპირის, ამასთანავე, უნდა იყოს მყარი, ნახვრეტების, დაქანებისა და ამობურცვების გარეშე. (საქართველოს მთავრობის დადგენილება №341 2022 წლის 1 ივლისი. მუხლი 5. პ.2. ), ღიობები (ჭები, შურფები, კიბის უჯრედები, ნებისმიერი ადგილი სადაც შესაძლოა ადამიანის ვარდნა) დაფარული უნდა იყოს სპეციალური ხუფებით ან/და ფენილებით. დადგენილება #477 2017 ქლის 27 ოქტომბერი, მუხლი 15.
- აღადგინეთ დაზიანებული მინები.
- ელექტრომოწყობილობები და გაყვანილობები დაპროექტებული და დამონტაჟებული უნდა იყოს შესაბამისი მარეგულირებელი ნორმების დაცვით ისე, რომ სამუშაო სივრცე სათანადოდ იყოს დაცული ხანძრისა და აფეთქების საფრთხეებისგან. (საქართველოს მთავრობის დადგენილება №341 2022 წლის 1 ივლისი. მუხლი 3. პ.1.
- მოეწყოს სტანდარტის შესაბამისად, არ დაიშვას სხვა პირი ტერიტორიაზე გარდა უფლობ მოსილი პირისა.
- კეთილ მოეწყოს დასაქმებულის სივრცე სტანდარტის შესაბამისად, საჭიროებს რემონტს.
- მოეწყოს სასადილო კუთხე სველი წერტილით, და შესაბამისის უსაფრთხო აღჭურვილობით. აღნიშნული გამათბობელი დაუყოვნებლივ ამოღებული იქნას ხმარებიდან
- სამუშაო ადგილთან, მოსასვენებელ და გამოსაცვლელ ოთახებთან, საშხაპეებთან, ხელსაბანებთან განთავსებული უნდა იყოს საჭირო რაოდენობის საპირფარეშოები. საპირფარეშოები აღჭურვილი უნდა იყოს გამწოვით ან სავენტილაციო სისტემითა და ხელსაბანებით. (საქართველოს მთავრობის დადგენილება №341 2022 წლის 1 ივლისი. მუხლი 18. პ.1; პ.4. ტუალეტი უნდა იყოს მოწყობილი სანიტარული ნორმების დაცვით. ტუალეტებს უნდა ჰქონდეს ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემა, როგორიცაა სეპტიკური ავზი ან მსგავსი. ჩამდინარე წყლები უნდა დაგროვდეს ადგილზე და პერიოდულად მოიხსნას.

**ინსპექტირების აქტი:** ხრამის I აწევის სატუმბო სადგური (მარნეულის მიმართულება)

*დიდი ლილო 1-ის სატუმბო სადგური*

- სატუმბი სადგურის ტერიტორიაზე ღია ღიობები უნდა დაიხუროს გამძლე, უსაფრთხო და მყარი მასალებით შრომის უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად.
- სატუმბო სადგურში დაზიანებულია გადახურვა, რაც საფრთხეს უქმნის ტუმბო-აგრეგატებს, ამიტომ საჭიროა მისი შეკეთება ან სრულად შეცვლა შრომის უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად.

**ინსპექტირების აქტი:** დიდი ლილო I სატუმბო სადგური

*დიდი ლილო 2-ის სატუმბო სადგური*

- სატუმბი სადგურის ტერიტორიაზე ღია ღიობები უნდა დაიხუროს გამძლე, უსაფრთხო და მყარი მასალებით შრომის უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად.
- სატუმბო სადგურის შემოღობვა არის დაზიანებული და საჭიროა მისი შეკეთება ან ახლით შეცვლა შრომის უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად.
- სატუმბო სადგურის ტერიტორიაზე არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური წერტილები არ შეესაბამება უსაფრთხოების მოთხოვნებს, ამიტომ აუცილებელია არსებული წერტილების განახლება ან ახლის მოწყობა შრომის უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად.

**ინსპექტირების აქტი:** [დიდი ლილო II სატუმბო სადგური]

*ვაზისუბანი 2-ის სატუმბო სადგური*

- სატუმბი სადგურის შენობის კედლებზე არსებული ბზარები და დაზიანებები უნდა შეკეთდეს შესაბამისი სამშენებლო მასალებით, საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს სტრუქტურული გამაგრება და ასევე შეკეთდეს ან სრულად შეიცვალოს დაზიანებული იატაკი.
- ობიექტზე შესასვლელში არსებული ძაბვის კუსტარული ელ. კარადა უნდა შეიცვალოს ახლით შრომის უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად.
- მაღალი ძაბვის სათავსოსა და სამანქანო დარბაზში უნდა მოწესრიგდეს ელექტრომეურნეობა შრომის უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად.
- სატუმბო სადგურში, ურდულებთან მარტივად და უსაფრთხოდ მისასვლელად უნდა მოეწყოს პლათფორმები, კიბითა და მოაჯირებით შრომის უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად.
- სატუმბი სადგურის ტერიტორიაზე ღია ღიობები უნდა დაიხუროს გამძლე, უსაფრთხო და მყარი მასალებით შრომის უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად.

**ინსპექტირების აქტი:** [ვაზისუბანი II სატუმბო სადგური]